

2019-2020 სასწავლო წლის

მაგისტრატურის მისაღები მოთხოვნები

მუსიკის ტექნოლოგია

შემოქმედებითი ტური სპეციალობაში ტარდება ორ ეტაპად.

I ეტაპი. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო პროექტი ელექტრონული ფორმით (CD/DVD): ფოლდერი, რომელიც შეიცავს სამაგისტრო პროექტის წერილობით დახასიათებას [PDF], აუდიო, ვიდეო ან სხვა მედია-დანართით.

საგამოცდო კომისია აფასებს წარდგენილი პროექტის აკადემიურ-შემოქმედებით ხარისხს და პროექტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში განხორციელების რეალურობას. კომისია იღებს გადაწყვეტილებას აბიტურიენტის მეორე ეტაპზე დაშვების/არ დაშვების თაობაზე.

II ეტაპი. აბიტურიენტი გადის გასაუბრებას (ქართულ-ინგლისურად) პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც პროექტის უფრო დეტალური პრეზენტაციის საშუალებას იძლევა. შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით;

გამსვლელი ქულა - 71 და ზემოთ.

გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული ფორმატით ვიდეო ზარის მეშვეობით.